ეროვნული ბიბლიოთეკა


# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება


საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

დამატების № 318. | კვირა, 22 მაისი 1905 წ. | გაზეთის № 2826.

# ივან ივანიჩის სიზმარი

ა. ზენგერისა.

ეს ამბავი კვირა საღამოს მოხდა. სამინისტროში მთელ დღეს მოხსენებების თვალიერების შემდეგ ივან ივანიჩი სახლში დაბრუნდა და დასაძინებლად დაწვა. როგორც ხშირად, ვინ იცის, იქნებ ეხლაც ივან ივანიჩს ტკბილად დასძინებოდა, მაგრამ... ეშმაკმა, რომელიც განგებ სდევნის ხოლმე ბიუროკრატებს, პატივცემულ სტატსკი სოვეტნიკს ლამე ანდრეევის „წითელი სიცილი“ მოალანდა,— და აი რა მოხდა:

I

— ადექით... ივან ივანიჩ,— სთქვა და მხარზე ხელი შეახო მას ერთმა „წითელ სიცილის“ მიცვალებულმა

— რა ამბავია? ვინ ხარ? უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ივან ივანიჩმა,—განა ცხრა საათი არის კიდეც?

— არა, ჯერ ცხრა არაა,--ზრდილობიანად უპასუხა მიცვალებულმა,—მაგრამ უბნის მეთვალყურე მოვიდა და სურს რაღაც ქაღალდი გარდმოგცეთ... ლაშქარში გიწვევენ.

— მე!? ლაშქარში? საზარლად წამოიყვირა საბრალომ,— მაგრამ... მე...



ადმირალი როჟესტვენსკი.

კუნ. ცუსიმასთან რუსის დალუპულ ესკადრის უფროსი.

— ეს თქვენ უბნის მეთვალყურეს აუხსენით,—ზრდილობიანადვე განაგრძო მიცვალებულმა;—მე უბრალო შუაკაცი ვარ და ამიტომაც არავითარ პასუხსაგებ მონდობილებებს არ ვკისრულობ!

და გაჰქრა. ივან ივანიჩის წინ კი პოლიციის მოხელე იდგა ალერსიანის სახით და ლურჯ ქაღალდის ფურცელს „აბარებდა“. ქაღალდზე გარკვევით იყო აღნიშნული, რომ იმას, ივან ივანიჩ ივანოვს, დაუყოვნებლივ მომქმედ ჯარში იწვევდნენ.

— კი, მაგრამ... მე... მე რომ არ მიწევს გაწვევა!..— სცადა აეხსნა უბნის მეთვალყურისათვის ივან ივანიჩს, მაგრამ მეთვალყურემ ზრდილობიანადვე გააწყვეტინა:

— მე უბრალო გადმომცემი ინსტანცია ვარ, თავის მართლება თქვენ მაზრის სამხედრო უფროსის კანცელარიაში შეგიძლიათ. მისაღები დრო უწყებაზეა აღნიშნული.

და ისიც გააჰქრა.

— პრაპორშჩიკი ივანოვი, ივან ივანიჩი!—ყვიროდა სამხედრო უფროსის თანაშემწე, რომელსაც პირი ფართოდ დაეღო და მოქალაქეთაგან შემდგარ შავსა და ხშირს წერტილებს მისჩერებოდა.

— აქა ვარ... აქა ვარ... აქა ვარ... აქა ვარ... და... აქა ვარ...—მოესმა სამხედრო უფროსის თანაშემწეს ურცხვი ხმები; ამათში ივან ივანიჩიც ერია.

— ამდენი ხართ?—განცვიფრდა პოდპოლკოვნიკი, ერთს წამს შეჩერდა, არ იცოდა, როგორ განეგრძო საქმე.

— ნუ თუ ამდენნი ივანოვებია, ივანეები და მასთან ივანიჩები.

— დიახ, დიახ, დიახ...—დაიბზუილეს პრაპორშჩიკებმა. —აქ ასს-თერთმეტი კაცი ვართ და კიდევ მოვა—არ ვიცით რამდენი.



ადმირალი ტოგო.

იაპონიის ფლოტის უფროსი.

სამხედრო აღზრდამ მოქმედებასაც აჩვევს კაცს და პოდპოლკოვნიკიც საჩქაროდ გასწორდა, ჩვეულებრივ დინჯი სახე მიიღო, თითქოს ამისთანა შემთხვევებში ყველა ასე უნდა მოქცეულიყო, და დაიყვირა:

— პრაპორშჩიკი ივანოვი, ივან ივანიჩი, ივანოვის ქუჩაზე მცხოვრები, სახლი № 16.

— ეს კი „ჩვენი“ ივან ივანიჩი იყო.



**მეფის იუიის განცხრომა.**—სურათი ჭოფმანის.

იმან წინ წაიწია, ხალხი მკერდით მარჯვედ გააპო და პოდპოლკოვნიკის წინ წარსდგა.

— მე არა ვარ გასაწვევი.—სთქვა მან და უნებურად დაამატა:—ბატონო პოლკოვნიკო...

— რატომ?—ჰკითხა და სათვალეებ ზევიდან მრისხანედ გადმოხედა უკანასკნელმა.

— იმიტომ რომ ჩემი თანამდებობა მათავისუფლებს ამისაგან,—და მან თავისი ხელობა დაუსახელა.

— ჰა, ჰა!—გულჩახვეულად ჩაიცინა მოსაუბრემ,—თქვენ არაფერი არა გცოდნიათ, ჩემო კეთილო! ეს წინად იყო ასე, კმაროდა ზეზეურად მოლაპარაკებოდით თქვენს მთავრობას და თქვენს მაგივრად სასიკვდილოდ რომელიმე სხვა ივან ივანიჩი წავიდოდა... ისინი ხომ ბევრნი არიან... ახლა კი...

— ახლა?—ძლივს ჩაილუღლუღა სტატსკი სოვეტნიკმა.

— ახლა!.. ჰა, ჰა... არ წაგიკითხავთ გაზეთში უკანასკნელი დადგენილება? გადაწყვეტილია წაიყვანონ ყველა, ვინც ჯანმთელია და ვისაც წლოვანება ორმოც-და-ხუთ წელზე ზევით არ აუდის. სხვანაირი შეღავათი არაა; შეღავათი მიეცემა მხოლოდ ცნობილ მწერლებს ან პროფესსორებს და მისთანებს... თქვენ მომღერალი არა ხართ?

— არა ვარ მომღერალი,—ძლივს ჩაიბუტბუტა ივან ივანიჩმა.—ვწუხვარ... მაგრამ შეშლილი ვარ...

— რაო?

— შეშლილი ვარ—მეთქი... თქვენ წაკითხული გექნებათ, რასა სწერს ანდრეევი: მინდვრად და ველად გავიდეთ, ძმებო...

— გადამწერალო! ბლანკი მოუტანე ბატონს, თავის შემოწმების თხოვნას დასწერს.—მოულოდნელად წამოიძახა პოდპოლკოვნიკმა და პირი სხვა პრაპორშჩიკებისკენ იბრუნა...

## II

— თქვენო კეთილშობილებავ!.. თქვენო კეთილშობილებავ...—უზრდელად მხრებზე დაარტყა ივან ივანიჩს ფერმკრთალმა, ძონძიანმა სალდათმა.—ნაბრძანებია თქვენო კეთილშობილებავ, მკვდრები უნდა დათვალოთ...

— მკვდრები..- ისევ დავთვალო...—ნაღვლიანად ჩაიფიქრა ივან ივანიჩმა, შემდეგ კიდევაც თითქო ზეზე ადგა და წუთით ბნელი ნესტიანი ფაცხა აათვალიერა...

— სიდოროვ! საყვარელო!..—მწუხარედ ელაპარაკებოდა ერთის წუთის შემდეგ გვერდზე მდგარ სანიტარს,—ნუ თუ მეცნიერებამ აქამომდე ვერ გამოიგონა ისეთი საშუალება, რომ მკვდრები ერთბაშად დაითვალოს, ისე, მაგალითად, როგორც პურს სწყავენ?

— ვერა,—დინჯად უპასუხა სანიტარმა,—პურს კოდებით სწყვენ, გვამისთვის კი საწყაო არ არსებობს; ჩვენ რიგობით უნდა დავითვალოთ...

— კი, მაგრამ... მეცნიერებამ რომ შიმოზას წამალი, მსწრაფლ-მსროლელები, ტყვიის მტყორცნელები და ათასი სხვა მოიგონა ადამიანის საწყვეტად, გვამების დასათვლელად არაფერი მოუგონია?..

— არაფერი.

— აბა, ისე ხომ დიდხანს მოვუნდებით,—მწუხარედ ჩაილაპარაკა პრაპორშჩიკ ივანოვმა და თვალი გადაავლო წინ გადშალილ სწორს, თოვლიანს მინდორს, ადამიანის გვამებით აჭრელებულს,—ამას დიდხანს მოვუნდებით, მასთან ცუდი სუნი დგას...

— ვაფანგოუსთან,—გულ ჩახვეულად დაიწყო სანიტარმა და მიწას ჩააჩერდა,—ერთმა სტუდენტმა გვასწავლა ოთხ-კუთხედებათ თვლა. იმის გამოანგარიშებით თითო ოთხ კუთხედ საჟენზე სამი მიცვალებული მოდიოდა; როცა მინდვრის სივრცე ვიცოდით, ამ გზით დანამდვილებით მკვდრების რიცხვსაც ვიგებდით ლიაოიანთან თითო ოთხ-კუთხედზე ათი კაცი დავთვალეთ, თხრილებში ოცდა-ათი, რადგან ერთი-ერთმანეთზე ეწყო. მუკდენთან ვერ ვიანგარიშეთ, მასთან სტუდენტიც მოჰკლეს. აქ კი არ ვიცი, როგორ დავთვალოთ: მე მათემატიკა არ მისწავლია.

— არც მე მისწავლია,—თავი გაიქნია პრაპორშჩიკმა.—სამწუხაროა, რომ სტუდენტი მოუკლავთ. საჭიროა მომავალში მაინც გაიადვილონ ეს საქმე... ახლა კი...

— ერთი, ორი, სამი, ხუთი, შვიდი...—დაიწყო თვლა ივან ივანიჩმა,—ცხრა, თერთმეტი, თორმეტი...—უცბად შეჩერდა, თითქოს ვინმეს ტყვიის ხელით შეეჩერებინა იქ, სადაც სიტყვა „თორმეტი“ წარმოსთქვა.

— ნუ თუ მარტო თორმეტია?—ისეთის გარკვევით და ხმაურობით გაურბინა ამ კითხვამ თავში, რომ თითქოს ვიღაც ეძახოდა, მობრუნდა, თვალებით აათვალიერა მიდამო და რომ დარწმუნდა არავინ იყო, ჩაილაპარაკა:

— რასაკვირველია, თორმეტია! სადაა მეტი!..

— რას ამბობ!—გულმოსულად ჩაულაპარაკა თავში იმავე ხმამ,—იმას კი არ გეუბნები. ნუ თუ ის, რაც შენ წი-

ნაა გადაშლილი, მარტო სიტყვა „თორმეტით“ აღინიშნება!.. და... ეს... კმარა.·

— რა სისულელეა,—გაიფიქრა პრაპორშჩიკმა.—„თორმეტი!“ სიცოცხლეები?!

და რაღაც გამოურკვეველის მიზეზით იმ ადგილას დაბრუნდა, საიდანაც თვლა დაიწყო და ჩაფიქრებულმა წარმოსთქვა:

— ერთი...

უცბად ხელი პირისახეზე მიიფარა, ჟინიანად დაჰკივლა და ჩქარის ნაბიჯებით მოშორდა იქაურობას...

### III

— პრაპორშჩიკ ივანოვ! პრაპორშჩიკ ივანოვ!— დაუყვირა ვიღაცას ბრძანებლმა ხმამ-—საჩქაროდ გაჩერდით, თორემ თავს გაგიჭყლეტამთ... სირცხვილია აფიცერი ისე იქცეოდეს, როგორც თქვენ...

იმის წინ უზარმაზარის ტანის გენერალი იდგა და შუბლში არაჩვეულებრივის ტანის რევოლვერს უმიზნებდა. ეს უკანასკნელი ზარბაზანს უფრო წააგავდა.

— თავს გაგიჭყლეტთ-მეთქი, თუ ერთი ნაბიჯი გადადგმით...—გაიმეორა გენერალმა,—თქვენი მოვალეობა უნდა აასრულოთ...

— კი, მაგრამ... მაგრამ...—ივანოვს გაქცევის მიზეზი დაავიწყდა. ამ ჟამად რევოლვერის საშინელს ბნელს ხვრელს უყურებდა, რომელიც პირდაპირ თვალში მისჩერებოდა.—კი მაგრამ...

— ხმა ჩაიკმინდეთ!..—იყვირა გენერალმა.

— ნუ თუ არ იცით, რომ მტერი ახლოვდება და თქვენ უნდა უკუაგდოთ...

გენერალმა უცბად ხმა შეიცვალა და ლბილად განაგრძო:

—- სირცხვილია ახალგაზრდავ! თქვენ კარგად იცით, რომ ამ წუთში მთელი ქვეყნიერება გიყურებთ! სამშობლომ თავისი ბედი მოგანდოთ და თქვენ... აიღეთ, აიღეთ ჩქარა იარაღი და თქვენი მოვალეობა აასრულეთ. მტერი ჩრდილო და სავლეთით ბიენ-ცუ-პუს მხრით მოდის, ეს სულ ახლოსაა. ფეხითაც ჩაისვლება...

— აი, აი „ის“,—უცბად წამოიძახა ივანოვმა და ორივე ხელი წინ გაიშვირა. მართლაც იმის წინ საიდანღაც მტრის მთელი ლაშქარი გაჩნდა.

ლაშქრის მოძრაობის წესი საოცარი იყო. ქვეითა რაზმები, ცხენოსნები და არტილლერია—თითქოს ერთ სწორ დაფაზე იყვნენ მიკრულნი, ისე სწორედ მოძრაობდნენ. მასთან თოფების ტყვიის, ხმლისა და ხანჯლის კრიალი მზეზე თვალს აბრმავებდა. შორიდან გეგონებოდათ, თითქოს ვიღაცას ფოლადის გძელის წკნელების მთელი ბადე ხელში დაუჭერია და ღაჟინებით მზეზე არხევსო. ასეთმა სანახაობამ ივან ივანიჩი შეაშინა; მან დაჰყვირა:

— აი „ის!“ აი!

— ააა,—დამშვიდებით შენიშნა გენერალმა, - ესაა ბიენ-ცუ-პუდან ჩრდილო-დასავლეთის მხარე. მე ასეც გითხარით. აბა—ხმალი და წინ!..

— როგორ? მარტო?—აღელდა ივანოვი.

— რასაკვირველია, მარტო,—ისე დამშვიდებით უპასუხა გენერალმა, თითქოს აქ ყველაფერი ჩვეულებრივ ხდებოდა,— გასწით მარტო, მე კი ზარბაზნებით მხარს დავუჭერ თქვენს იერიშს.

და საჩქაროდ ივანოვის თავ ზევით საშინელი ზარბაზან-რევოლვერი აიმართა. რევოლვერიდან საშინელის ხმაურობით ერთი-მეორეზე ცვიოდა ტყვიები. რევოლვერის ყოველ გაცლაზე გენერალი უკან-უკან იწევდა: ხშირის სროლისაგან გარშემო სქელი კვამლი და ალი ეხვია.

ამ სანახაობაზე ივანოვს გული ყელზე მოადგა, უცბად ღონე მოიკრიბა, ხმალი ქარქაშიდან იძრო და მტერს პირდაპირ ეძგერა. თან მღეროდა:

მინდვრად და ველად
გავიდეთ, ძმებო!..

ტაიპებს შუა „ურას!“ უმატებდა.

შემდეგ თავი ცნობილ მხედრად წარმოიდგინა და, როგორც ხანდისხან ალლუმებზე უნახავს ხოლმე.—უცბად მტერს ზურგი შეაქცია და უკან წავიდა.

არც ერთიც აღარ ყოფილა მასთან სალდათი, მაგრამ ის მაინც იმ სათადარიგო ჩვეულებრივ სიტყვებს ისროდა ჰაერში, რომელიც სამხედრო ბევრის მოხდის შემდეგ დაანახსოვდა.

— ნალევოო! კრუგომ!.. რიადი ვზდვოი! სმირნააა, რავნიაის!.. გლაზა ნალევო!.. ნა პერვი, ვტოროი ნომერა რაზჩიტაის!.. სპრავა პოზზვოდნა-ა მარშ!..

შემდეგ მსწრაფლად მტრისკენ მობრუნდა, გადარეულივით „ურას“ ყვირილი მორთო, თვალები წარბებზე აყარა, კბილები დააკრაჭუნა და იერიშით წავიდა...

ასი ნაბიჯი რომ გაიარა, წაბორძიკდა და შეჩერდა. მტრის მაგიერ მის წინ ისევ გენერალი იდგა თავის ზარბაზან-რევოლვერით, მტერს კი მარცხენა გვერდით შემოეარა და წინანდელებრ ზღაპრულის წეს-რიგით მოემართებოდა...

ივანოვი ცოტა შეფიქრდა, ერთიც მადიანად გააფურთხა, მკერდში უცბად ისევ რაღაც ძალა იგრძნო და კვლავ იერიშით წავიდა მტრისაკენ. თან წინანდელებრ სათადარიგო სიტყვებს ამბობდა, ხმალს ჰაერში აქნევდა, სცდილობდა თავი დაეღწია მტრის ტყვიისათვის, რომელიც ზღაპრულ ობობა-დევივით სცვიოდა ყოველის მხრიდან.

მაგრამ როცა საქმე იერიშზე მიდგა, ისევ ის მოხდა, რაც უწინ: ბრწყინვალე მტერმა ისევ მარცხნით დაიხია, მის წინ კი ისევ ის გენერალი იდგა.

და ასე სამჯერ. მეოთხედ კი ივანოვმა ბრაზით ფეხები დააბაკუნა და ხმალი ხელიდან გააგდო.

— ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მე სტატსკი სოვეტნიკს აქ პრაპორშჩიკად მგზავნიან!—დაიყვირა მან და მუშტი ცისკენ გაიქნია.—მე უნდა ვიუფროსო აქ და არა...




ფიქრში.—ნახატი შაბასი.

გათავება ვერ მოასწრო, სიტყვა ახლად მოსულმა ორდინარმა გააწყვეტინა, შემდეგ მეორე მოვარდა, მესამე და კიდევ ბევრი. ისინი ცხენებიდან ბურთივით გორდებოდნენ,

ივანოვთან მიდიოდნენ, ხელებში ქუდებთან ჰქონდათ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ:

— თქვენო აღმატებულებავ... იაპონელები... იპონელები...

მაგრამ ამ როლშიაც კარგად იცოდა ივან ივანიჩმა, როგორ მოქცეულიყო. მან საჩქაროდ ბრძანა:

— ჩქარა... სამხედრო თათბირი!..

## IV

— შინ... შინ უნდა წავიდე!.. არ შემიძლიან...—ცოტახნის შემდეგ ჰკვნესოდა უკმაყოფილოდ ივანოვი.

— ეს მტერი კი არა, ეს... ეშმაკმა იცის რა ყოფილა!.. ველურებთან ბრძოლა არ შემიძლია... შინ უნდა წავიდე...

ერთს წუთში თავის კაბინეთში მაგიდასთან გაჩნდა, მსუბუქად ქშინავდა, ცალ ხელს მუცელზე ისომდა, ცალით ელექტრონის ზარას რეკდა..

— ჩაი, სიმონ!—ეუბნებოდა მოსულ მოსამსახურეს, მაგრამ სიმონი უკმაყოფილოდ თავს აქნევდა და კაბინეთიდან ალარ გადიოდა.

— ჩაი, სიმონ!—უფრო ფიცხად დაიყვირა უფროსმა, მაგრამ სიმონს ჩაი მაინც არ მოჰქონდა.

სიმონის თავის ქნევაზე ივან ივანიჩს ბრაზი მოსდიოდა მაგრამ თავის თავს სძლია და ხმა მაღლა, როგორც გულმოსულობის დროს ხშირად იცოდა ხოლმე, „თქვენობით“ დაუწყო მოსამსახურეს ლაპარაკი.

— თქვენ ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ! ნუ თუ მარტო ჩემთვის გამოლეულა სამინისტროში ჩაი!..

— გამოილია, ივან ივანიჩ,—მწუხარე სახით გაიმეორა სიმონმა.—გამოილია.

მოსამსახურის მოწყენილობაზე სტატსკი სოვეტნიკი დარწმუნდა, რომ საქმე მართლაც საყურადღებო რამეს ეხებოდა.

— კი, მაგრამ... რატომ გამოილია, სიმონ? ვინაა მიზეზი?..

— „ისინი“,—ჩაილუღლუღა და შიშით შესავალ კარებისკენ გაიქნია თავი მოსამსახურემ...—„ისინი“.

ივან ივანიჩს რაღაც გულზე შემოეყარა. მან ჩუმად იკითხა:

— ვინ „ისინი?“

— ხალხის წარმომადგენელნი...—მიუგო სიმონმა. უფროსმა ყურადღება კარებს მიაპყრო.

— „ისინი“ იქ არიან?

— იქ არიან.

— „ისინი“ აქ მოვლენ?

— აქ მოვლენ.

— ეხლავე?

— ეხლავე.

ორივე, თითქოს ერთი კაცი იყო, რომელიც ჩურჩულით ერთსა და იმავ ფრაზას იმეორებდა სხვა და სხვა კითხვა პასუხის ხმით.

— ცოტა ხანს საქმე მაქვს,—დაათავა ივან ივანიჩმა,—ცოტა ხანს გადი სიმონ!

თავი მაგიდაზე დახარა და ქაღალდებს ფურცვლა დაუწყო, თუმცა ნაწერს სრულიად არ კითხულობდა, იმას უნდოდა თავი საქმიანად ეჩვენა. ასე თავი არ მოუკატუნებია მას შემდეგ, რაც სტატსკი სოვეტნიკობა მიიღო.

„ისინი“-კი თავ-ჩაღუნულნი მის ახლო იდგნენ.

— სტატსკი სოვეტნიკ ივანოვ!—მოესმა ახლოს ბოხიანი ბრძანებითი ხმა, რომლის გაგონებაზე ივანოვი ნემს ნაჩხვლეტივით წამოხტა;

— სტატსკი სოვეტნიკ ივან'ოვ! თქვენ გიწვევენ—პასუხი უნდა აგოთ...

ივანოვი გაშეშდა. პასუხის მაგივრად მოღრუბლულის სახით თავისი დიდი კაბინეთი აათვალიერა,

**მ. კინწურაშვილი**

(დასასრული იქნება).

**ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მომავალ „რემონტის“ გამო.**




ჴაი, თქვე მუხანათებო, თქვენა! გვღალატობთ განა?.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ 19 мая 1905 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.